

სს „ლილო 1“

ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს „ლილო 1“
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	5
2. მომზადების საფუძვლები	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	16
5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნები	16
6. მთლიანი მოგება	17
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. ძირითადი საშუალებები	18
9. საინვესტიციო ქონება.....	18
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
12. კაპიტალი.....	20
13. სესხები და კრედიტები.....	20
14. პირობითი ვალდებულებები	20
15. ფინანსური რისკის მართვა	22
16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	25
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ლილო 1“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ლილო 1“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს წინამდებარე მოთხოვნები და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ

მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ

გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;



შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ნათია სვანაძე (SARAS-A-594099)

შპს „აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს“ სახელით (SARAS-F-502517)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024



ACCOUNTING & BUSINESS SOLUTIONS

შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ნ. სვანაძე

ნათია სვანაძე (SARAS-A-594099)

შპს „აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს“ სახელით (SARAS-F-502517)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024

სს „ლილო 1“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

		2023	2022 (გადაანგარი- შებული)
	შენიშვნა		
ამონაგები იჯარიდან		7,641	7,328
შემოსავალი მომსახურებიდან		3,502	2,338
მომსახურების ხარჯი		(1,475)	(1,513)
მთლიანი მოგება	6	9,668	8,153
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,325)	(2,913)
ფინანსური დანახარჯები	14	(2,293)	(2,304)
ფინანსური შემოსავლები		107	19
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		(3)	11
სხვა საოპერაციო ხარჯები		(23)	(149)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		3	6
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი)	9	(436)	(1,378)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		3,698	1,445
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		3,698	1,445
სხვა სრული შემოსავალი		(1)	(6)
სულ სრული შემოსავალი		3,697	1,439

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
 დავით ბეგიაშვილი

სს „ლილო 1“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

		31 დეკემბერი 2023 წ.	31 დეკემბერი 2022 წ. (გადაანგარი- შებული)	31 დეკემბერი 2021 წ. (გადაანგარი- შებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,697	1,068	1,280
საინვესტიციო ქონება	9	67,220	67,095	65,969
არამატერიალური აქტივები		111	113	113
სულ გრძელვადიანი აქტივები		69,028	68,276	67,362
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		55	85	179
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,253	1,218	811
ავანსები მომწოდებლებისთვის		178	52	788
საგადასახადო აქტივი		-	16	142
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,554	758	1,214
სულ მიმდინარე აქტივები		4,040	2,129	3,134
სულ აქტივები		73,068	70,405	70,496
კაპიტალი				
გამოშვებული კაპიტალი	12	19,836	19,836	19,836
გადაფასების რეზერვი		128	140	152
გაუნაწილებელი		35,836	32,128	30,683
მოგება/აკუმულირებული ზარალი				
სულ კაპიტალი		55,800	52,104	50,671
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები-		831	-	-
გრძელვადიანი ნაწილი				
გრძელვადიანი სესხები	13	13,390	16,126	17,827
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,221	16,126	17,827
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	13	2,766	1,835	1,703
სავაჭრო და სხვა კრედიტორული		229	340	295
დავალიანება				
საგადასახადო ვალდებულება		52	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,047	2,175	1,998
სულ ვალდებულებები		17,268	18,301	19,825
სულ კაპიტალი და ვალდებულება		73,068	70,405	70,496

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
დავით ბეგიაშვილი

სს „ლილო 1“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული)	19,836	30,683	152	50,671
წლის სრული შემოსავალი	-	1,439	-	1,439
გადაფასების რეზერვი	-	6	(12)	(6)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	19,836	32,128	140	52,104
წლის სრული შემოსავალი	-	3,697	-	3,697
გადაფასების რეზერვი	-	11	(12)	(1)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	19,836	35,836	128	55,800

სს „ლილო 1“
 ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა			
დასაბეგრი მოგება		3,698	1,445
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	299	265
სავაჭრო ანარიცხები		1	46
ფინანსური შემოსავალი	11	(107)	(19)
ფინანსური დანახარჯები	13	2,293	2,304
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)		3	(11)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		5	(3)
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული ზარალი		436	1,378
		6,628	5,405
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		30	94
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(39)	(448)
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		(127)	730
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		720	45
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		68	126
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		7,280	5,952
სესხზე გადახდილი პროცენტი	13	(2,263)	(2,304)
საპროცენტო შემოსავლის მიღება	11	107	19
მოგების გადასახადის გადახდა		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,124	3,667
საინვესტიციო საქმიანობა			
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		(932)	(56)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(561)	(2,504)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,493)	(2,560)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის მიღება	13	-	134
სესხის გადახდა	13	(1,835)	(1,702)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,835)	(1,568)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,796	(461)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	758	1,214
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-	5
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	2,554	758

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ლილო 1“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, იუმაშევის ქ., №14. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 206268741, რეგისტრაციის თარიღი - 2006 წლის 28 დეკემბერი.

2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50%-ს ფლობდა შპს შარმ ტრედიინგი, რომლის მფლობელები არიან: ზაზა ნიშნიანიძე (34%), ვახტანგ სამაგლიშვილი (10%), სოლომონ მამუჩიშვილი (10%), გიორგი ჩივაძე (16%), შპს ბი ეფ ო (30%), რომლის საბოლოო მფლობელს წარმოადგენს ლევან კაკაბაძე, და 50%-ს შპს ჯი დი აი, რომლის საბოლოო მფლობელებს წარმოადგენენ: შპს კორინარია მენეჯმენტ (20%), შპს არევაკო (17.61%), შპს ალპფორდიო სერვისიზ (30.69%), შპს ვიონეო ჰოლდინგს ლიმიტიდ (31.7%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწყობების და საბაჟო ტერმინალების იჯარით გაცემა და სასაწყობე მომსახურების უზრუნველყოფა. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - დავით ბეგიაშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ, მე-3 შენიშვნაში. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში. ამაზე დაყრდნობით მენეჯმენტი ადასტურებს, რომ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანია, მთლიანობაში ფლობს საკმარის რესურსს, რომ გააგრძელოს საოპერაციო საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ განჭვრეტად მომავალში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ოპერაციების დაფარვიდან წარმოქმნილი საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის/ზარალის სახით, ურთიერთგადაფარვის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844	3.5040

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია საინვესტიციო ქონებას და ძირითადი საშუალებებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ბალანსის ყოველი თარიღისთვის. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 – მსგავსი აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(დ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, რომელიც საქმის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანიის მიერ არ არის გამოყენებული ან გასაყიდად განკუთვნილი.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელშეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების ღირებულება გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი. იჯარიდან გამომუშავებული შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

(ე) შემოსავლები

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შესაბამეა ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით.

კომპანია სახელშეკრულებო მოვალეობას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაში მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო მოვალეობაა:

- ამონაგები, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის განუზღუდელი საქონლის დასაწყობებას, საბაჟო საწყობის გამოყენებით, აღირიცხება დასაწყობებული დღეების მიხედვით.
- საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგების იჯარიდან შემოსავლის მუხლში, მისი ოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

3. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები

შენიშვნები რომლებიც აღირიცხება ძირითად ძირითადი საშუალებებში აღირიცხება გადაფასების მოდელით.

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება.

დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ ერთეულიდან და თუ ერთეულის ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შესაძლებელია. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	წლები
შენიშვნები	20-50
მანქანა დანადგარები	5-10
ტრანსპორტი	10
საოფისე მოწყობილობა	3-10
ტექნიკა	5-15

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც შეწყდა აქტივის აღიარება. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

აქტივის ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და მათი აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

შენიშვნა-ნაგებობები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის. გადაფასების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და ერიცხება კაპიტალს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის აკუმულირებული ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადანაგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. იმ სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხილეთ ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკები თავში „შემოსავლის აღიარება“.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, როცა მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიხედვით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშებისა და საკონტრაქტო აქტივებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება კრედიტორული დავალიანებისგან და ნასესხები სახსრებისგან.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთაქცითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაბრებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში არ შედის შეზღუდული წვდომის ფულადი ნაშთები. ნაშთები, რომელთა სავალუტო კონვერტაცია ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ასახულია შეზღუდული წვდომის ანაბრებში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც სხვა გადასახადები.

(ი) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ს გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს, კონკრეტული შეზღუდვებით.

(კ) განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის პოზიციების ცვლილება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

(ლ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ შენიშვნები მოცემულია „საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების“ ნაწილში ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში.

სს „ლილო 1“
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურება, წლიური ანაზღაურებადი შვებულება ან ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც კომპანიის თანამშრომელი გასწევს შესაბამის მომსახურებას. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების კლასიფიკაცია განისაზღვრება თანამშრომელთა საქმიანობის მიხედვით, და აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ დასაქმებულთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% საპენსიო ფონდში შეიტანოს.

(ნ) ცვლილებები წარდგენაში

2023 წლიდან კომპანიამ შეცვალა გარკვეული მუხლების წარმოდგენა მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში. შედეგად, შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა ახალი მდგომარეობის შესაბამისად დაკორექტირდა.

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე:

	<u>გადაანგარიშებამდე</u>	<u>კორექტირება</u>	<u>გადაანგარიშებული</u>
ამონაგები იჯარიდან	9,818	(2,490)	7,328
შემოსავალი მომსახურებიდან	-	2,338	2,338
მომსახურების ხარჯი	-	(1,513)	(1,513)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება	(1,752)	1,752	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,119)	2,119	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(2,913)	(2,913)
ფინანსური შემოსავლები	17	2	19
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	19	(8)	11
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,511)	2,362	(149)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5	1	6
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი)	-	(1,378)	(1,378)

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

	<u>გადაანგარიშებამდე</u>	<u>კორექტირება</u>	<u>გადაანგარიშებული</u>
ძირითადი საშუალებები	1,023	45	1,068
საინვესტიციო ქონება	67,096	(1)	67,095
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,314	(96)	1,218
ავანსები მომწოდებლებისთვის	58	-	58
საგადასახადო აქტივი	-	16	16
გადაფასების რეზერვი	64,943	(64,803)	140
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი	(32,557)	64,691	32,134
გრძელვადიანი სესხები	17,961	(1,835)	16,126
მოკლევადიანი სესხები	-	1,835	1,835
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	207	133	340
მიღებული ავანსები	43	(43)	-
საგადასახადო ვალდებულება	14	(14)	-

სს „ლილო 1“
 ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ცვლილებები წარდგენაში (გაგრძელება)

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

	<u>გადაანგარიშებამდე</u>	<u>კორექტირება</u>	<u>გადაანგარიშებული</u>
ძირითადი საშუალებები	647	633	1,280
საინვესტიციო ქონება	34,411	31,558	65,969
არამატერიალური აქტივები	110	3	113
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	157	22	179
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	679	132	811
ავანსები მომწოდებლებისთვის	21	767	788
საგადასახადო აქტივი	-	142	142
სხვა მიმდინარე აქტივები	652	(652)	-
ფული და ფულის ექვივალენტები	1,217	(3)	1,214
გადაფასების რეზერვი	31,999	(31,847)	152
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი	(33,730)	64,413	30,683
გრძელვადიანი სესხები	19,529	(1,702)	17,827
მოკლევადიანი სესხები	-	1,703	1,703
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	120	175	295
მიღებული ავანსები	28	(28)	-
საგადასახადო ვალდებულება	112	(112)	-

სს „ლილო 1“
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ცვლილებები წარდგენაში (გაგრძელება)

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე:

	<u>გადაანგარიშებამდე</u>	<u>კორექტირება</u>	<u>გადაანგარიშებული</u>
დასაბეგრი მოგება	1,173	272	1,445
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,119)	2,384	265
სავაჭრო ანარიცხები	-	46	46
ფინანსური შემოსავალი	194	(213)	(19)
ფინანსური დანახარჯები	(2,304)	4,608	2,304
საკუთროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	19	(30)	(11)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	-	(3)	(3)
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული ზარალი	-	1,378	1,378
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	72	22	94
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(635)	187	(448)
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	730	730
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	87	(42)	45
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(98)	224	126
მიღებული ავანსები	15	(15)	-
სხვა მიმდინარე აქტივები	652	(652)	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	(37)	37	-
სესხზე გადახდილი პროცენტი	-	(2,304)	(2,304)
საპროცენტო შემოსავლის მიღება	-	19	19
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	1,740	(1,796)	(56)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	(32,879)	30,375	(2,504)
სესხის მიღება	736	(602)	134
სესხის გადახდა	-	(1,702)	(1,702)
გადაფასების რეზერვი	32,943	(32,943)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,217	(3)	1,214
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(18)	23	5

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაზე:

	<u>გადაანგარიშებამდე</u>	<u>კორექტირება</u>	<u>გადაანგარიშებული</u>
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(33,730)	64,413	30,683
გადაფასების რეზერვის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	31,999	(31,847)	152
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(32,557)	64,691	32,134
გადაფასების რეზერვის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	64,943	(64,803)	140

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ქონების გადაფასება

კომპანია რეგულარულად ახდენს უძრავი ქონების (მიწის, საოფისე შენობების და საინვესტიციო ქონების) ღირებულების გადახედვას სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ახდენს გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. კომპანია ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ტექნიკისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა კომპანიის საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულება. ქონების საბაზრო ღირებულება დადგინდა აქტიურ ბაზარზე არსებული მონაცემების საფუძველზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია მე-9 და მე-16 შენიშვნებში.

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- ფასს (IFRS) 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება;
- სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება;
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიშნო წესები - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

ფასს სტანდარტების „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნის“, ბასს (IAS) 1-ში და ფასს პრაქტიკის განცხადება 2-ში შეტანილი ცვლილებების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ გადასინჯა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები. გადასინჯული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებთან მიმართებაში და ის მეტწილად მოიცავს ისეთ საკითხებს, სადაც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებებს ექვემდებარება და გამორიცხავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში);
- ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან);
- მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელოს, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. მთლიანი მოგება

კომპანიის მომსახურებიდან შემოსავალი ძირითადად მოცავს შემოსავალს რომელსაც კომპანია იღებს სასაწყობო ფართების იჯარის და საბაჟო საწყობის მომსახურებისგან განუზღვრელი საქონლის დასაწყობებასა და შენახვაში.

მომსახურების ხარჯი რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან აღიარდება მომსახურების ხარჯში და წარმოადგენს მთლიანი მოგების ნაწილს.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)
მომსახურების ხარჯი		
კომუნალური ხარჯი	1,302	1,164
დასუფთავების ხარჯი	99	204
საწვავ/საპოხი მასალები	62	41
საშუამავლო მომსახურება	12	104
სულ	1,475	1,513

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)
ადმინისტრაციული პერსონალის გასამრჯელოები	1,728	1,757
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	348	229
ცვეთა და ამორტიზაცია	299	265
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	291	167
პროფესიული მომსახურება	184	24
რემონტის ხარჯები	163	159
საიჯარო ხარჯი	116	25
დაზღვევის ხარჯები	72	60
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	52	6
საკომუნიკაციო ხარჯები	20	20
სამეურნეო ხარჯი	18	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	10	8
საკანცელარიო ხარჯები	9	-
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	6	142
საბანკო მომსახურება	6	4
რეკლამის ხარჯები	1	-
ანარიცხები	1	46
რეგისტრაცია და ნებართვა	1	1
სულ	3,325	2,913

სს „ლილო 1“
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ტექნიკა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)	243	1,287	20	2,711	817	5,078
შემოსვლები	11	13	-	30	2	56
გასხვისება და ჩამოწერა	-	(5)	-	-	-	(5)
გადაფასება	(6)	-	-	-	-	(6)
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)	248	1,295	20	2,741	819	5,123
შემოსვლები	1	857	-	32	9	899
გასხვისება და ჩამოწერა	-	(55)	-	-	(3)	(58)
გადაფასება	(1)	-	-	-	-	(1)
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	248	2,097	20	2,773	825	5,963
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)	-	1,106	20	1,901	771	3,798
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	-	-	215	3	265
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	(3)	-	(8)
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)	-	1,148	20	2,113	774	4,055
დარიცხვა წლის განმავლობაში	10	65	-	166	33	274
გასხვისება და ჩამოწერა	-	(52)	-	-	(1)	(53)
გადაფასება	(10)	-	-	-	-	(10)
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,161	20	2,279	806	4,266
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	243	181	-	810	46	1,280
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	248	147	-	628	45	1,068
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	248	936	-	494	19	1,697

9. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენიშვნები	სულ
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	31,396	34,573	65,969
დამატებები	-	2,504	2,504
მოგება / ზარალი გადაფასებიდან	582	(1,960)	(1,378)
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	31,978	35,117	67,095
დამატებები	-	561	561
მოგება / ზარალი გადაფასებიდან	(594)	158	(436)
31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	31,384	35,836	67,220

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების სამართლიანი ღირებულებები ეყრდნობა აკრედიტებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებულ შეფასებას. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწვრილებით აღწერილია მე-16 შენიშვნაში.

სს „ლილო 1“
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022 (გადაანგარი- შებული)	2021 (გადაანგარი- შებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,332	1,296	843
საექვო ვალების რეზერვი	(79)	(78)	(32)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,253	1,218	811

31 დეკემბერი, 2023 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 60 დღემდე ვადაგადა- ცილებული	61-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	90-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,085	154	34	49	10	1,332
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(22)	(15)	(7)	(24)	(11)	(79)

31 დეკემბერი, 2022 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 60 დღემდე ვადაგადა- ცილებული	61-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	90-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	961	236	66	21	12	1,296
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(19)	(24)	(13)	(11)	(11)	(78)

31 დეკემბერი, 2021 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 60 დღემდე ვადაგადა- ცილებული	61-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	90-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	754	67	12	4	6	843
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(15)	(7)	(2)	(2)	(6)	(32)

2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი შეადგენს 1 ლარს (2022: 0 ლარს)

სს „ლილო 1“
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)	2021 (გადაანგარიშებული)
ფული ბანკში	2,553	748	1,211
ნაღდი ფული სალაროში	1	10	3
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,554	758	1,214

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წარმოადგენს ქართულ ბანკში განთავსებულ პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს. 2023 წელს საპროცენტო შემოსავალი იყო 107 ლარი (2022 წ.: 19 ლარი).

12. კაპიტალი

2023, 2022 და 2021 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 19,836 ჩვეულებრივ აქციას, თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1000 ლარს.

13. სესხები და კრედიტები

	2023	2022 (გადაანგარიშებული)	2021 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი სესხები	13,390	16,126	17,827
მოკლევადიანი სესხები	2,736	1,835	1,703
გადასახდელი პროცენტი	30	-	-
სულ ნასესხები საშუალებები	16,156	17,961	19,530

2023 წლის განმავლობაში არსებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯი წარმოადგენდა 2,293 ლარს (2022 წლის განმავლობაში 2,304 ლარს)

ცვლილებები სესხებსა და ნასესხებ სახსრებში

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	17,961	19,529
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,293	2,304
წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	(2,263)	(2,304)
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	-	134
სესხის ძირითადი თანხის დასაფარი შენატანები	(1,835)	(1,702)
31 დეკემბრის მდგომარეობით	16,156	17,961

14. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

14. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,4%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული ანგარიშის მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება.

საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც. ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში.

კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება დააყენებენ.

ეს შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის განმარტებებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიას გაცემული აქვს ღია არაუზრუნველყოფილი გარანტია ქართული სადაზღვეოგან, შემოსავლების სამსახურის მიმართ საბაჟო საწყობის ლიცენზიით სარგებლობისთვის.

ღია საგარანტიო ხელშეკრულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

გარანტია	დაფარვის ვადა	2023	2022
შემოსავლების სამსახური	15 ოქტომბერი 2023	-	200
შემოსავლების სამსახური	30 ოქტომბერი 2025	200	-

2023 და 2022 წლებში ჯგუფს არ ჰქონია გაცემული გარანტიებიდან ფულადი სახსრების გასვლა.

სამართალწარმოება - 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით არსებით დაურთიხავ ზარალს არ მოეღოს და, შესაბამისად, მას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

15. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად, თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) გამომდინარე აქვს.

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	შიდა საკრედიტო რეიტინგი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები	11	მითითებული არ არის	(i)	1,332	(79)	1,253
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	15	BB-	(ii)	2,554	–	2,554

- სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ მუხლებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს ვადაგადაცილების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებას. მე-10 შენიშვნაში უფრო დაწვრილებით არის ასახული ამ აქტივების ზარალის რეზერვი.
- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად პირველ სტადიაზეა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების თვალსაზრისით.

ბ) საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში და პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია.

პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად აისახება ცვლილებები სავალუტო კურსებში, რომლებიც კომპანიისთვის აქტუალურია. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებების მართვით კომპანიის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

(ათას ლარში)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინან- სური აქტი- ვები	ფინან- სური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბა- ლანსო პოზიცია	ფინან- სური აქტივები	ფინან- სური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბა- ლანსო პოზიცია	ფინან- სური აქტივები	ფინანსუ- რი ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი აშშ	3,684	17,216	(13,532)	1,724	18,301	(16,577)	1,899	19,825	(17,926)
დოლა- რი	121	-	121	252	-	252	126	-	126
ევრო	2	-	2	-	-	-	-	-	-
სულ	3,807	17,216	(13,409)	1,976	18,301	(16,325)	2,025	19,825	(17,800)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია:

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	24	50
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(24)	(50)
ევროს გამყარება 20%-ით	-	-
ევროს გაუფასურება 20%-ით	-	-

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

(დ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა, რადგან მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებული განაკვეთები აქვს.

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სახსრებისგან. კომპანია ფულადი სახსრების ინვესტიციას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ აუცილებლობაზე სწრაფი და უმტკივნეულო რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან (მე-11 შენიშვნა), სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან (მე-10 შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრები შეიძლება რეალიზდეს ნაღდი ფულით ერთ დღეში, რათა დაკმაყოფილდეს ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საჭიროება.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს ჰქონდა ნარჩენი სახელმწიფო დაფარვის ვადები, რომლებიც არ აღემატება 90 დღეს, ასევე მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებული არადისკონტირებულ ღირებულებასთან.

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2023, 2022 და 2021 წლებში მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ფინანსური მაჩვენებლები	დეკემბერი 2023			
	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,253	-	-	1,253
ნასესხები საშუალებები	2,766	13,390	-	16,156
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	229	-	-	229
საიჯარო ვალდებულებები	-	831	-	831
სულ ფინანსური მაჩვენებლები	4,248	14,221	-	18,469

ფინანსური მაჩვენებლები	დეკემბერი 2022			
	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,218	-	-	1,218
ნასესხები საშუალებები	1,835	16,126	-	17,961
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	340	-	-	340
სულ ფინანსური მაჩვენებლები	3,393	16,126	-	19,519

ფინანსური მაჩვენებლები	დეკემბერი 2021			
	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	811	-	-	811
ნასესხები საშუალებები	1,703	17,827	-	19,530
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	295	-	-	295
სულ ფინანსური მაჩვენებლები	2,809	17,827	-	20,636

(ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება მფლობელთა შენატანებისგან კომპანიის კაპიტალში და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანია არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით:

- i. 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე,
- ii. მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა,
- iii. მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული, გარდა ნაღდი ფულისა, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	31 დეკემბერი 2023			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
საინვესტიციო ქონება	-	-	67,220	67,220
ძირითადი საშუალებები - შენობა	-	-	248	248
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	31 დეკემბერი 2022			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
საინვესტიციო ქონება	-	-	67,095	67,095
ძირითადი საშუალებები - შენობა	-	-	248	248
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	31 დეკემბერი 2021			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
საინვესტიციო ქონება	-	-	65,969	65,969
ძირითადი საშუალებები - შენობა	-	-	243	243

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

	31 დეკემბერი, 2023 წ.		31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.		
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები							
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	მე-3	1,253	1,253	1,218	1,218	811	811
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-11 შენიშვნა)	1-ელი	2,554	2,554	758	758	1,214	1,214
ფინანსური ვალდებულებები							
საიჯარო ვალდებულებები	მე-3	831	831	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მე-3	229	229	340	340	295	295
სესხები და კრედიტები (მე-13 შენიშვნა)	მე-3	16,156	15,810	17,961	17,320	19,530	19,323

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო;
- ▶ სესხების და ნასესხები სახსრების, გაცემული სესხების, საიჯარო ვალდებულებების და ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან მიღებული გრძელვადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების სახით, საანგარიშგებო თარიღში მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მესამე დონის არაფინანსური აქტივების ცვლილების დინამიკა

ყველა საინვესტიციო ქონება მესამე დონეს მიეკუთვნება. მათი საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული მონაცემების აღწერა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არაემპირიული მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია საინვესტიციო ქონების მესამე დონის შეფასებისთვის:

	2023	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი არაემპირიული ინფორმაცია	მინ	მაქს	საშუალო შეწონილი
საინვესტიციო ქონება	67,220					
მიწა		გაყიდვების შედარებითი ანალიზის მეთოდი	1 კვ მეტრის ფასი	139	155	147
შენობა-ნაგებობები		მიდგომა- ჩანაცვლების მეთოდი	1 კვ მეტრის ფასი	387	515	451
შენობა	248					
მიწა		გაყიდვების შედარებითი ანალიზის მეთოდი	1 კვ მეტრის ფასი	139	155	147
შენობა-ნაგებობები		მიდგომა- ჩანაცვლების მეთოდი	1 კვ მეტრის ფასი	387	515	451

*ამ ცხრილში წარმოდგენილი არაემპირიული მონაცემების ფასი, განაკვეთი და ღირებულება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთ-ერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2023 და 2022 წლებში კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.

(ა) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2023 და 2022 წლებში ერთი პირისგან შედგებოდა. 2023 წელს მის მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 154 ლარს (2022 წ.: 135 ლარი) შეადგენდა და მოიცავდა ხელფასებსა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებს.

სს „ლილო 1“ 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება

30 სექტემბერი, 2024 წელი

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა;

სს „ლილო 1“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს რეზიდენტი სს, რომელიც ოპერირებს 2006 წლიდან. კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის სახე არის დასაწყობება და შენახვა, კერძოდ, საწყობების და საბაჟო ტერმინალების იჯარით გაცემა და სასაწყობე მომსახურების უზრუნველყოფა.

სს ლილო 1 ადგილობრივ ბაზარზე არის ერთ-ერთი მსხვილი კონკურენტუნარიანი საწარმო, რომლის მთავარი მისია და სტრატეგიაა მომხმარებელს შეუქმნას ყველამხრივ მასზე მორგებული გარემო, განავითაროს სასაწყობე ლოჯისტიკური რესურსები და დაწეროს თანამედროვე სტანდარტების ელექტრონული პროდუქტები.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო მიზნებია ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების ზრდა, მომხმარებელთა მოთხოვნილებებსა და მოლოდინებთან მაქსიმალური თანხვედრის უზრუნველყოფა, ხარჯების ოპტიმიზაცია და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა. კომპანიაში მუდმივად ხორციელდება მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უახლესი ტექნოლოგიებით, რათა მომხმარებელმა შეძლოს ბიზნესის დაბრკოლებების გარეშე მართვა.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები;

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია გეგმავს შემდეგი საკითხების შემუშავებას/ განვითარებას / შესრულებას:

- კომპანია გეგმავს დამატებით 7,000 კვ.მ გასაქირავებლად განკუთვნილი სასაწყობო სივრცეების მოწყობას და აგრეთვე ახალი საბაჟო სასაწყობე სივრცეების ამოქმედებას, რისთვისაც იგეგმება 13,000 კვ.მ რეკონსტრუქცია და მოდერნიზება.
- კომპანია აგრძელებს ადაპტირებას მომხმარებელთა ქცევის ცვალებადობასთან, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებასთან და ელექტრონული კომერციის მზარდ ცნობადობასთან, გაძლიერდა ეფექტური სასაწყობო სივრცის საჭიროება.
- იგეგმება თანამედროვე, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ამგვარ სასაწყობო სივრცეებზე მოთხოვნას და რისთვისაც დაინტერესებული მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ პრემია.
- იმის გამო, რომ ბიზნესები პრიორიტეტულად უპირატესობას ანიჭებენ ეფექტურობას, მოწინავე ტექნოლოგიებს და სტრატეგიული მდებარეობას, ისინი მზად არიან გადაიხადონ მეტი სასაწყობო სივრცეების იჯარაში, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამ საჭიროებებს.

3. სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკები

კომპანიის წინაშე დგას შემდეგი რისკები:

- კონკურენტული გარემო;
- კონკურენტული ფასები;
- თანამშრომელთა შერჩევა და შენარჩუნება;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნეს პროცესების გაუმჯობესებისთვის;

4. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა;

2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ უწარმოებია რაიმე სახის კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ;

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

6. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

გარემოზე ზემოქმედება

კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების მოცილების პროცედურების შესრულებას თბილისერვის ჯგუფის მიერ. კომპანია არ ახორციელებს საქმიანობებს, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

შრომითი უსაფრთხოება

თანამშრომლების რაოდენობა სს „ლილო 1“-ში საშუალოდ შეადგენს 67-ს (8 ქალი და 59 კაცი). კომპანიის მიზანია ჯანდაცვა და უსაფრთხოება - თუ კომპანია თავის თანამშრომლებს უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს. პერსონალს უტარდება პერიოდული ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: ტექნიკური მოწყობილობის ოპერაციები, შრომის უსაფრთხოების და ხანძრის პრევენციის ზომები, ასევე სწავლობენ პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებს. პერსონალი დაიშვება სამუშაო ადგილზე მისი კვალიფიკაციის და უსაფრთხოების ჯგუფის სტატუსის შესაბამისად. კომპანიას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა კომპანიისგან - „არდი“ - თითოეული თანამშრომლისთვის. შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, კომპანიამ დანიშნა თავისი თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის სახით. 17.03.2023 წელს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორმა გაიარა ტრენინგები “IOSH (სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტეგრირებული სისტემა) უსაფრთხოების მართვა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინდიკატორები

კომპანიის წმინდა მოგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 3,698 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შესაბამისად შეადგენდა 1,445 ათას ლარს. მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია ორიენტირებულია კლიენტების რაოდენობის ზრდაზე და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზებაზე.

7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;

კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყველა პასუხისმგებლობას კომპანიაში რისკის მართვის სტრუქტურის ზედამხედველობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ დაადგინოს, გაანალიზოს შესაბამისად მინიმუმამდე დაუყვანოს, უზრუნველყოს კონტროლის და შეინარჩუნოს შეზღუდვები კომპანიის მიმდინარე რისკებზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიცდის რეგულარულ მოდიფიკაციებს ბაზრის პირობებთან და კომპანიის საქმიანობების ცვლილებებთან შესაბამისობისთვის. ტრენინგების და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანია დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია საკუთარი ადგილის და ვალდებულებების შესახებ სისტემაში. კომპანიის კლიენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიებს. საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ლოგისტიკის მომსახურებების პორტფელის კონსოლიდაციას, რომელიც მიღებულია კომპანიის კლიენტების მიერ, დადებითი ზემოქმედება აქვს კომპანიის შემოსავლების ზრდაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად, თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) გამომდინარე აქვს.

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სახსრებისგან. კომპანია ფულადი სახსრების ინვესტიციას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელებში, რათა შეეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ აუცილებლობაზე სწრაფი და უმტკივნეულო რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან. ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრები შეიძლება რეალიზდეს ნაღდი ფულით ერთ დღეში, რათა დაკმაყოფილდეს ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საჭიროება.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს ჰქონდა ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, რომლებიც არ აღემატება 90 დღეს, ასევე მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებული არადისკონტირებულ ღირებულებასთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად აისახება ცვლილებები სავალუტო კურსებში, რომლებიც კომპანიისთვის აქტუალურია. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებების მართვით კომპანიის დონეზე.

სს „ლილო-1“ დირექტორი

დ.ბეგიაშვილი

30.09.2024